

სახალხო გაზეთი




სურათებიანი დამატება

გაზეთის № 473. კვირა, 11 დეკემბერი 1911 წ. დამატების № 83



მირზა ახტ ალი ახუნდოვი,
მუსულმანთა პირველი დრამატურგი.
დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.



პროფესორი ა. გ. პრახოვა.
რომელიც დასავლეთ საქართველოში მოგზაურობს, ადგი-
ლობრივ შინა მრეწველობის შესასწავლად.

ნუ, ნუ მთიშემნ!..

ყურს ნუ დაუგდებ ჩემსა სიმღერას,
თორემ აგიშლის გულის იარებს,—
ის არ მოგიტხოვს ოცნების ზღაპარს,
მხოლოდ კეშანს გაგიზიარებს.


თრთოლვით ვისმენდი ცის დასთა ნანას,
მაგრამ ნუგეში ვერც იქა ვპოვე
და ჩანგურისა იღუმალ ხმაში
ბედის აკორდი ცრემლით მოვქსოვე.

შეირხა სიმი, შავ ხმათ მანდილი,
ჯამთა ცვლის დილეგს გარდაეფინა,
გრძნობაც გადაჰყვა ტანჯვის ქარ-ტეხილს
და სამუდამოდ იქ ჰპოვა ბინა.

ნუ, ნუ მოისმენ ჩემსა სიმღერას,
თორემ შენს ნორჩ გულს ისრად მოჰხვედება,—
ის მარტო იშვა ბედის ნაღველში
და ცხოვრებაშიც მარტოდ მოჰკვდება.
ბ. ფაშალიშვილი.



ა ლ ა ზ ი რ ი ს ს კ ო ლ ა .



ლიტანია სკოლის კურაზხევის დღეს.



სკოლის შოწაფენი და მასწავლებელნი.

სამსუბრძივი პრეტენზია

(იუმორისტული მოთხრობა).

(თარგმანი).

(დახასრული *).

* *

ყმაწვილები შუა გულ ტყემლის მივიდნენ და ერთ პატარა კორდზე წამოსხდნენ. ირგვლივ ბლომად იდგა ნაძვი და ამიტომ ძლიერი ფისის სუნი ტრიალებდა. მზე ვარჯარებდა. ყვავილები გულ-მოღვლილი მიჭვიცხებოდნენ. დრო გამოშვებით გაისმოდა ჩიტების ფთხრიალ-ჭიკჭიკი. ფრინველების სანეტარო, ვნებით აღსავსე საარწიყო ხანას უკვე განვლო. გაზაფხულივით ხომ სულ სიყვარულის ტრფიალებში არ უნდა ყოფილიყვნენ. ყველა ბუდეებიდან მშიერ ბლარტებს უკვე გადმოეყოთ ნისკარტები.

ზაფხული იყო... ბუნების აყვავების ხანა... მიგრამ ოთხი ყმაწვილისთვის, რომლებიც ბალახზე წამოგორბულიყვნენ,

ზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო. ესენი განხორციელება იყვნენ გაზაფხულისა, ლამაზ, ნაზ, ტკბილ იმედებით სავსე გაზაფხულისა.

ყმაწვილები ლაზღანდარობდნენ, ერთმანეთს აბრაზებდნენ და თან იცინოდნენ. ყველაზე ღინჯად ირმას ეჭირა თავი. მან ის იყო განუცხადა ამხანაგებს, რომ კურსებზე მიდის და ფილოსოფიის შესწავლასა ფიქრობს. ამაზე მეექვსე კლასელს ჰანსს ისე აუტყდა სიცილი, რომ მუცელი ხელით ეჭირა.

— თქვენ მართლა ძალიან ჰგვებართ „სტუდენტას“, — უთხრა ჰანსმა ირმას და თან ეს ტანადი ქალი ათვალისწინებდა, რომელსაც მტრედის ფერ ლენტით გადაწული ორი სქელი ქერა ნაწნავი ეყარა უკან. მან სტაცა ირმას ნაწნავებში ხელი აღვირივით და მხიარულად შესძახა: მაშინ ესენი უნდა მოგაქრათ!

— რა სისულელეა! რისთვის? — შეეკითხა ირმა.

— მაშ, თქვენც ატარებთ მაღალ საყელოს და ყელსაბამს, როგორც კაცები, ლუდითაც დათვრებით... და... და... სიცილისაგან ვეღარა ლაპარაკობდა.

აქ ლაპარაკში მისი ძმა ჩაერია. კარლოსს მას აქეთ, რაც მეწვიდე კლასში გადავიდა, ძალიან ღინჯად ეჭირა თავი.

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 82.



დიმიტრი ბაქრაძე

ქართულ სცენის მოყვარე, რომლის 10 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად სახალხო სახლში დანიშნულია წარმოდგენა.

— მე მგონია, ჩემო კარგო, უთხრა მან ირმას, რომ თქვენი გარდაწყვეტილება დასაწუნია. თქვენ ჯერ ისევ ახალგაზდა ხართ, მომეტებულ გონებით მუშაობას ვერ აიტანთ. ეხლა მეცნიერულადაც დამტკიცებულია, რომ ქალის ტვინი კაცის ტვინზე სუბუქია წონით, რომ ქალის ტვინი კაცის ტვინზე ნაკლებს მუშაობს...

— საქმე წონაში კი არა ტვინის ღირსებაშია, მიუგო ირმამ და ხელები გულზე ჯვარედინად დაიწყო. რატომ ჩვენც, ქალებმაც, არ უნდა ვისწავლოთ კაცებთან ერთად? რატომ ჩვენც ისეთსავე პროფესიას არ უნდა მოვკიდოთ ხელი, როგორსაც ისინი ჰკიდებენ?!

— ფუჰ, ჩაერია გრეტჰენი... მერე რამდენია იქეთი პროფესია, რომელიც ქალისთვის შეუფერებელია? და თან სიბრაზისაგან მკრთალი, ნაზი, ლოყები წამოაუწითლდა.

— სახელდობრ? — აი თუნდ საეჭიშო, მიუგო გრეტჰენმა. წარმოიდგინე, ავადმყოფმა ხომ უნდა გაიხადოს! ფუჰ!..

— მე ანაზე სულაც არ მიფიქრია, გაკვირვებით სთქვა ირმამ; მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენი სიკეთე გეუძლიან მოიტანოს ექიმმა!

— საზოგადოდ შენ არაფერზე ფიქრობ, — კმაყოფილებით უთხრა გრეტჰენმა და თან თმაზე ლენტი შემოიკრა, რომელიც გახსნოდა.

ის ამ დროს ზედ გამოჰკრილი დედა იყო. — ეგ კი მეტის-მეტე მოგივიდა, აღელვებით სთქვა ირმამ, მე არაფერზე არა ვფიქრობ? შენზე ათასჯერ მეტსა

ვფიქრობ! ისიც კმარა, რომ თანამედროულად ვარ აღზრდილი ისეთ გონების ცენტრში, როგორც ბერლინი...

— ოჰო, დედოფლები წაიკიდნენ. უყურე — „ნიბელუნგების ბეკედს“ არა ჰგავს! სთქვა უფროსმა ძმამ, რომელიც გაწიწმბებულ ქალებს მისჩერებოდა.

— ეჰ, გოგონებმა მუდამ მაგრე იციან გულის გაწყობება, — წამოიყვირა მისმა ძმამ. მოდი, დაანებეთ ემაგ სისულელეებს თავი, სჯობს წყალში ვიჭყუშალოთ: თანაბმა ხართ? ხელათ გაიძრო ფეხთ, ჩაჯდა პატარა მდინარის პირას, რომელიც იქვე ჩამორჩნხვებდა, ჩაყო წყალში ფეხები და დაიწყო წყუშალობა. კარლოსს თავის ღირსება გადაავიწყდა და ისევე მოიქცა. ირმამაც გაიძრო ჩულტები და ფეხით ოდნავ გასინჯა ცივი იყო თუ არა წყალი.

— უჰ, უჰ, მე ამას არ ვიხამ, წამოიყვირა გრეტჰენმა. — არ იხამ და ნუ იხამ, გაუთლელი გრეტა, მიძახა ჰანსმა.

ირმამ, კარლოსმა და ჰანსმა დაიწყეს წყალში წყუშალობა და კიკინების ჰერა, რომლებიც ელვასავით დასრიალებდნენ. რაკი დაინახა, რომ ამხანაგებმა მას თავი დაანებეს, გრეტჰენმაც გაიძრო წინდები, მაგრამ ისეთი ამბით, ისეთი მორცხვობით, რომ ჰანსიც და კარლოსი დააფიქრა და სულ სხვა თვალთ უყურებდნენ მის კოპწია ტიტველ ფეხებს... ბედნიერი იყო გრეტჰენის დედა, რომ თავისი ქალი ამ ყოფაში არა ნახა. მან მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა გრეტჰენი და ირმა ხელი-ხელ გაყრილი შექოდიოდნენ ფანჩატურში. ირმა, როგორც ყოველთვის, მხიარულად და უზრუნველად იყურებოდა წინ, გრეტჰენს თვალები ძირს დაეხარა და ისე მოდიოდა. შვილების დანახვანზე თვითვეული დედა გულში ფიქრობდა, რომ ახალგაზდა ქალის დასაცავად სიყვარულის მაცდურ ქსელისაგან საკუთარი სისტემა საუკეთესოა.

— იმათგან რომელი გამოდგა შემდეგ მართალი?

* * *
მორცხვი გრეტჰენი ოცი წლისა რომ შესრულდა, იძულებული იყო ერთ პატარა სამაზრო ქალაქში ერთ ბებია ქალთან საიდუმლოდ თავი შეეფარა: მემამულემ, რომლის მეუღლის თანაშემწედ ის იყო, უფრო საფუძვლიანად განუმარტა სქესობრივი საკითხი, ვიდრე ეს შესძლო მისმა დედამ.

ერთხელ ამ ამზის შემდეგ, რომელიც კანონიერ ცოლ-ქმრობაში „სასიხარულოდ“ მიიჩნიათ, როდესაც სიცოცხლით სავსე ბავშვი უკვე ათი დღისა იყო, გრეტჰენი ბაღში დასეირნობდა. სეირნობის დროს მან თვალი მოჰკრა ერთ ქალს, რომლის დანახვამ მას თავხარი დასცა. ეს იყო მისი ნათესავი ირმა. საიდუმლოება, რომელსაც იგი ასე ჩქამლა-

ა ლ ა გ ი რ ი ს ს კ ო ლ ა



სკოლის აღწვენებელი კომისია და ალაგარელი ქართველები.

ა ლ ა ზ ი რ ი ს ს კ ო ლ ა



სკოლის კურთხევის დროს დამსწრე სტუმრები.

ვდა, უკვე გამელაგებული იყო. ირმა, რომელიც აგერ ერთი წელიწადია რაც კურსებზე იყო, მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ შეარცხვინოს იგი... რომ... გრეტჰენმა ჩქარი ნაბიჯით გასწია ირმასკენ და ვიღრე ეს უქანასკნელი ეტყოდა რამეს, უთხრა:

— დაგვმარხე, ირმა, ორივენი, დაგვმარხე და ამით გვიხსენა!.. რას იზამ, რახან შენც ვაიგე ეს—დამარცხებული ვარ. რათ მოხვედი აქ, ჩემ ჩასაქოლად? განა მე დამნაშავე ვარ? განა ის პირობები არ არიან დამნაშავე, რომელშიაც აღმზარდა დედამ? განა შეცდომა არ არის ის თვალთაბმა, სიცრუე, რომელზედაც რაღაცა სულელური მოარცხვობა აიძულებდა? ყველაზე ცხოველ საკითხებს მიმალავდნენ, ყველაფერში მატყუებდნენ და მით ავიღმყოფურ ცნობის-მოყვარეობას მიღვიძებდნენ...

— ნუ ცხარობ, ნუ, ჩემო კარგო,—უთხრა ირმამ! მისი ხმა ისე მტკიცე აღარ იყო, როგორც კვლავ.—მე... მე... სრულიადაც არა ვფიქრობ ჩაგაქვავა. აქ სრულიად შემთხვევით მოვხდი... ქალბატონი მიულოცერი მიჩიჩის, რომ ის სანდოა იმ შემთხვევისათვის... გაუთხოვარ ქალებისათვის...

— რაო!.. შენც... შენც?... შეჭყვირა გრეტჰენმა.

ყველაფერი უკვე აშკარა იყო.

— როგორ, განაგრძო გრეტჰენმა, შენც, ირმა, რომელმაც დედამ თანამედროულად აღგზარდა, რომელსაც ისე აღრე განგიმარტეს ყველაფერი, რომელსაც ისეთი იმედი გქონდა შენი თავისა... შენც... გონიერი... განათლებული...

— გამიგონე, გრეტჰენ, გააწყვეტინა ირმამ, როგორა გვონია, კოცნა განა ნაკლებად არის ტკბილი, თუნდა თეორიულადაც იცოდე, რა შედეგი მოსდევს მას?!

სან-განი-ძე.



წვერილი ამბები

ქალთა სასამართლო. კალიფორნიის ერთ-ერთ ქალაქში, სახელდობრ ლოს-ანჯელოსში, ძალიან საინტერესო ამბავი მოხდა. ამერიკის ცალკე შტატებს, მოგვხსენებთ, თავისი კანონები აქვთ და ყველაფერში ვაშინგტონის პარლამენტს არ ემორჩილებიან. ჰო და, ამას წინად კალიფორნიაში კანონი შემოიღეს, რითაც ქალებს უფლება ეძლეოდათ ნაფიც მსაჯულად ყოფნისა. საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთხელ ისე მოხდა, რომ ნაფიც მსაჯულებად მარტო ქალნი იყვნენ. გასარჩევი საქმე საინტერესო იყო და სასამართლოში ხალხიც ბლომად შეიკრიბა. ყველას აინტერესებდა, თუ როგორ გადასწყვეტდნენ ქალები საკითხსა. როდესაც სასამართლომ საქმის გარჩევა გა-

ათავა, ნაფიც მსაჯული მანდილოსნები სათათბიროდ მეორე ოთახში გავიდნენ. გავიდა ერთი საათი, მეორე და მესამე, ხალხი მოუთმენლად ელოდა. უცებ გამოჩნდნენ ნაფიცი მსაჯულნი, ტალანს მიაშურეს, და ფაცა-ფუცით წასახველად ემზადებოდნენ.

— ქალბატონებო, საით?—გაკვირვებით ჰკითხა თავმჯდომარემ.

— მივდივართ, რადგან ვერაფერი გადავწყვიტეთ, ვერ შევთანხმდით, სხვა დროისათვის გაუხადეთ სხდომაო.


თავმჯდომარე ძალიან ცხარობდა: უმტკიცებდა, არ შეიძლება თქვენი სურვილის ასრულებაო, მაგრამ ამოღ.

— თუ გნებავთ რომ ერთმანეთს დავერიოთ და ცხვირ-პირი ამოვამტკრიოთ, დავრჩებით, თუ არა—დაგვიტოვებთო,—სთქვა ერთმა ქალმა.

მეტი რა ღონე იყო, თავმჯდომარე დასთანხმდა.



კულიანა აღამიანები. ამას წინად მელიტოპოლის სამხედრო საკრებულოში ორი საკვირველი აღამიანი აღმოაჩინეს. „იუნ. ვედ.“ სწერს: ჯარის კაცად გაწვევისთვის ახალგაზდებს შინჯავდნენ და ყველა ვალდებული იყო დედიშობილა წამდგარიყო გამშინჯავების წინაშე. ორ ახალგაზდს კული აღმოაჩნდა. ერთს კული სიგრიტით ორი გოჯი ჰქონდა, მეორეს—ცოტა პატარა. საკრებულოს წევრნი შეფიქრიანდნენ, ეს გარემოება სამხედრო სამსახურში ხელს ხომ არ შეუშლისო, დაეკითხნენ ექიმებსა. ექიმებმა გაშინჯეს და სთქვეს, ვა „კული“ ხერხემლის გაგრძელებაა, ყველა აღამიანსა აქვს, მაგრამ ტყავ ქვეშაო. მაგათ ცოტა დაგრძელებით და მაინცა და მაინც სამხედრო სამსახურის გაწევას სრულიად არ დაუშლისო. საკრებულოს წევრნიც ამ აზრს დასთანხმდნენ, რადგან წესდებაში ამისთანა შემთხვევის გამო არაფერია ნათქვამი.



ებლანდელ რედაქტორების სახლისი ვარჯიშობა.